შ. პ. ს. ჯი აი პი ენ
საპროექტო-სამშენებლო სტუდია

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №27-ში არსებული შენობის (“მუზა”) სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით

ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №27-ში არსებული შენობის (“მუზა”) რეკონსტრუქციის პროექტი ითვალისწინებს ქუჩის მხარეს არსებული ერთი მალის მზიდი კედლების შენარჩუნებას და დანარჩენი ნაწილის დაშლას და ახალი მზიდი ჩონჩხის აგებას. ქუჩის მხარეს არსებულ მალში გათვალისწინებულია შუა გრძივი კედლის დაშლა და შემდეგ კონსტრუქციული ელემენტების მოწყობისას მისი ხელახლა აღდგენა იმავე აგურით და იმავე გეომეტრიული ზომებით. აღგდგება ამ კედლის არსებული ვიზუალური სახე. ამ კედლის ფარგლებში გათვალისწინებულია ჩაშენებული რკინა-ბეტონის ჩარჩოს მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს შუა კედლის მზიდუნარიანობის ამაღლებას. ამავე დროს კედლის დაშლა ხელსაყრელია იმის გამო, რომ ამ გზით შესაძლებელი იქნება მის ორივე მხარეს არსებული გადახურვის ფილების ერთ ჩარჩოში გაერთიანება. ამ გზით მივიღებთ ერთიან მონოლითურ შენობას, რომელშიც ძველი და ახალი მზიდი ელემენტები ერთობლივად იმუშავებენ როგორც სტატიკურ, ასევე სეისმურ ზემოქმედებაზე.

აღნიშნული გზით შესრულებული მზიდი ჩონჩხი უზრუნველყოფს შენობის მდგრადობას.

შ.პ.ს. “ჯი აი პი ენ”-ის დირექტორი: ო. ქვრივიშვილი

15 მარტი, 2018 წ.

შ. პ. ს. “ჯი აი პი ენ, საპროექტო-სამშენებლო სტუდია
თბილისი, სტურუას №24
ტელეფონი: 599 150088